თამთა ამირანაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
tamta.amiranashvili@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.03

დროის ცნება კურტ ვონეგუტის რომანში ,,სასაკლაო 5"

საკვანძო სიტყვები: დრო, PTSD, თხრობითი სტრუქტურა

კურტ ვონეგუტის რომანს ,,სასაკლაო 5“ (1969) ქვესათაურიც ახლავს და მისი სრული სახელწოდებაა ,,სასაკლაო 5 ანუ ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა“. ავტორმა სათაური მისი ომისდროინდელი მეგობრის ბერნარდ ვ. ო’ჰეირის მეუღლის მერი ო’ჰეირთან საუბრის შემდეგ მოიფიქრა. მერი აცხადებს, რომ მისი ქმარი ბერნარდი და ვონეგუტი ,,უბრალოდ ჩვილები" იყვნენ, როდესაც ისინი ომში იბრძოდნენ, და ის მოუწოდებს ვონეგუტს, ომი რომანტიკული კუთხით არ წარმოაჩინოს თავის ნაწარმოებში. როგორც მერი ვარაუდობს, ბერნარდი და ვონეგუტი, ისევე როგორც ბილი პილგრიმი, რომანის პროტაგონისტი, ბავშვების ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეები არიან: ბიჭები საზღვარგარეთ სხვა ბიჭებთან საბრძოლველად და მათ დასახოცად გააგზავნეს.

რომანის დაწყებამდე ვონეგუტი ოთხ სტრიქონს ციტირებს საშობაო სიმღერიდან:

,,აბღავლდა ძროხა, ხმა გაისმა
სადღაც ნადირის,
გამოაღვიძეს ყრმა იესო,
ის კი არ ტირის.“

მწერალი ბილი პილგრიმსა და იესო ქრისტეს შორის პარალელს ავლებს. საშობაო სიმღერის თანახმად „პატარა უფალი იესო“ საერთოდ არ ტიროდა, ვონეგუტის მიერ აღწერილი ბილი კი ძალიან ცოტას ტიროდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ხედავდა ტრაგიკულ სცენებს. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ბილი ომის დროს ტირის, ცხენების სავალალო მდგომარეობის გამოა, მაგრამ ის რატომღაც თავს იკავებს ტირილისგან ყველა სხვა ტრაგედიის დროს, მათ შორის დრეზდენის დაბომბვისას. IX თავში ვონეგუტი ცალსახად განმარტავს, რომ მან ეს ეპიგრაფი იმისათვის აირჩია, რათა ეჩვენებინა, თუ რამდენად მცირე ემოცია გამოამჟღავნა ბილიმ ომში.

,,სასაკლაო 5“ პოსტმოდერნისტული რომანია, რომელიც სამეცნიერო ფანტასტიკის, ისტორიული ფანტასტიკის, ომის რომანისა და ნახევრად ავტობიოგრაფიული რომანის ელემენტებს აერთიანებს. XX საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბებული პოსტმოდერნისტული ლიტერატურა ხასიათდება უაღრესად ფრაგმენტული ნარატივებით, ირონიული ტონითა და სკეპტიციზმით სოციალური პროგრესისა და ობიექტური მორალის მიმართ.

ყველა ეს ელემენტი ჩანს ,,სასაკლაო 5“-ში, რომელიც ტრალფამადორული (პლანეტა დედამიწასთან ახლოს) რომანის მსგავსად მიზნად ისახავს „არ ჰქონდეს დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული, მორალური მიზეზები, შედეგები“. პოსტმოდერნისტული რომანის კიდევ ერთი ელემენტია მეტაფიქცია, რომელიც მუდმივად ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ მხატვრული ქმნილება ავტორის ფანტაზიის პროდუქტია. ამის დამადასტურებელი მაგალითი მრავლადაა პირველ თავში, სადაც ავტორი კურტ ვონეგუტი საუბრობს, ,,ბრძოლის“ შესახებ დაეწერა ,,ცნობილი დრეზდენის წიგნი", რომელიც არის თავად ,,სასაკლაო 5“. პოსტმოდერნისტული მწერლობა ასევე ხშირად აერთიანებს სხვადასხვა ჟანრს. ამგვარად, ის ფაქტი, რომ რომანი შეიძლება კლასიფიცირდეს მრავალ ჟანრში, მის პოსტმოდერნისტულობაზე მეტყველებს.

პირველი წაკითხვით, ,,სასაკლაო 5“ სამეცნიერო ფანტასტიკის რომანად გვეჩვენება. მთავარი გმირი ბილი პილგრიმი აცხადებს, რომ დროში მოგზაურია, რომელიც ტრალ-ფამადორელმა უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს და თავიანთი პლანეტის ზოოპარკში გამოამ-წყვდიეს. თუმცა, ტრადიციული სამეცნიერო ფანტასტიური რომანისგან განსხვავებით, ,,სასაკლაო 5-ს“ არ გააჩნია ლინეარული სიუჟეტი და უარყოფითი გმირი. ამავდროულად, როგორც ეს ჟანრისთვისაა დამახასიათებელი, ეს წიგნი ისეთ სამეცნიერო ფანტასტიკის ელემენტებს შეიცავს, როგორიცაა რელიგიური და პოლიტიკური თემების განხილვა. მაგალითად, მთელი რომანის განმავლობაში ვონეგუტი ქრისტიანობას და მის სწავლებებს ებრძვის, განსაკუთრებით ძალადობასა და სიკვდილს, რომლებიც ახალი აღთქმის ნარატივ-შია ჩაქსოვილი. ბილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქრისტეს ფიგურაა, მისი ცხოვრების გზა და ცოდნა საკუთარი სიკვდილის შესახებ ქრისტეს მოგვაგონებს. კილგორ ტრაუტის, ვონე-გუტის ალტერ ეგოს, მიერ ქრისტეს ჯვარცმის ხელახალი დაწერა ქრისტიანობის მორალურ კოდექსზე ამახვილებს ყურადღებას; ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა კი ყველაზე მნიშვნელოვანი მინიშნებაა, ვონეგუტს უკვირს როგორ შეუძლია ქრისტიანულ საზოგა-დოებას მისი შვილების ე.წ. წმინდა ომებში დაღუპვა დაუშვას. ეს და სხვა მაგალითი იმის ილუსტრირებას ემსახურება, თუ როგორ აყალიბებს აბრაამული ტრადიცია ომისა და ცხოვრების შესახებ ჩვენს აღქმას. მაგრამ ვონეგუტი მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ ეს აღქმა ხშირად მცდარი და თვალთმაქცურია, ის ვარაუდობს, რომ ქრისტიანობის ფილოსოფია არ არის საკმარისი ადამიანის ცხოვრებისთვის მნიშვნელობის ან მორალის მინიჭებისთვის.

კურტ ვონეგუტის რომანი ,,სასაკლაო ხუთი“ დეტალურად აღწერს მეორე მსოფლიო ომის მოვლენებს, განსაკუთრებით 1945 წლის თებერვალში გერმანიის ქალაქ დრეზდენის დაბომბვისას მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას. თუმცა, როდესაც ის 1969 წელს გამოქვეყნდა, რომანი განიხილებოდა, როგორც კომენტარი ვიეტნამში შეერთებული შტატე-ბის მიმდინარე კონფლიქტზე. ამ დროს ვიეტნამში 500000-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე იყო განთავსებული.

ვიეტნამის ომი იყო სისხლიანი, ძვირადღირებული და არაპოპულარული. ამის საპი-რისპიროდ, მეორე მსოფლიო ომი შეერთებულ შტატებში განიხილებოდა, როგორც ,,წარმა-ტებული" ომი, რომელიც სამართლიანი მიზნისთვის გაიმართა. თუმცა, ვონეგუტის მიერ

მეორე მსოფლიო ომის გამოსახვა, რომელიც ფოკუსირებულია დრეზდენის დაბომბვაზე, არასამხედრო ქალაქზე, ეჭვქვეშ აყენებს ომის ამ რომანტიკულ ცნებას.

ვიეტნამის ხსენება, თუმცა გაკვრით, შემთხვევითი არ არის; ბოლოს და ბოლოს, ვონეგუტი წერდა რომანს მაშინ, როდესაც კონფლიქტი გამწვავდა და მედია გაჯერებული იყო ომის ამბებითა და სურათებით, მათ შორის მრავალი მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლით. 1969 წლის მარტში ,,სასაკლაო 5“-ის გამოშვებამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთ კვირაში 453 ამერიკელი გარდაიცვალა. რომანის პირველი ტირაჟი 10000 ეგზემპლარი სწრაფად გაიყიდა, ვინაიდან ვონეგუტი ომს გამოსახავდა, როგორც შემთხვევითსა და უაზრო ძალადობას.

ვიეტნამის ომი, არ არის ,,სასაკლაო 5“-ის აქცენტი, მაგრამ სპორადულად ჩნდება რომანში. ვიეტნამი ყველაზე ხშირად ბილი პილგრიმის ვაჟის, რობერტთან მიმართებითაა მოხსენიებული, რომელიც ,,ცნობილ მწვანე ბერეტებს", აშშ-ს არმიის სპეცრაზმის ნაწილს, შეუერთდა. ირონიულია, რომ ბილი, რომელიც ასე ტრავმირებულია და საკუთარი გამოცდილების გამო ზიზღითაა განმსჭვალული ომის მიმართ, არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავისი შვილი შეეჩერებინა. ბილის ასეთი ქმედება ეხმიანება რომანის იდეას, რომ ომი გარდაუვალია, ხოლო დრო ციკლური და განმეორებადი.

,,სასაკლაო 5“-ში მოქმედება რამდენიმე ადგილზე მიმდინარეობს: გერმანია და ლუქსემბურგი II მსოფლიო ომის დროს, ილიუმი, ნიუ-იორკი ომისშემდგომ პერიოდში და ტრალფამადორი, უცხო პლანეტა, სადაც ბილი ზოოპარკშია გამოკეტილი. რომანში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც ჩანს, გერმანიის ქალაქი დრეზდენია, რომლის შესახებ მოგონებები ბილის სიცოცხლის ბოლომდე თან სდევს. იმის გამო, რომ ბილი ტრავმისგან გაქცევაზეა მიდრეკილი, ის წარმოიდგენს, რომ უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს და აიძულეს პლანეტა ტრალფამადორზე ეცხოვრა. მას სჭირდება ,,სამყაროს ხელახლა გამოგონება", რათა ომის შემდეგ მის ცხოვრებას აზრი მიეცეს.

მიუხედავად იმისა, რომ სასაკლაო 5, ადგილი სადაც ბილი და მისი თანამემამულე ტყვეები არიან დაპატიმრებული, დრეზდენში მდებარეობს, კონკრეტული ადგილია, თუმცა ის ასევე იღებს სიმბოლურ კონოტაციას. სასაკლაო გვხვდება არა მხოლოდ რეალური ვეტერანების ვონეგუტისა და ო’ჰეირის, არამედ გამოგონილი პერსონაჟის ბილი პილგრიმის ისტორიაშიც. ბილის ბევრი ყველაზე შემზარავი ომის გამოცდილება სწორედ სასაკლაოში ხდება და როდესაც ის დროში წინ და უკან მოგზაურობს, სასაკლაო კვლავ რჩება მისი მოგონებებისა და გამოცდილების ფოკუსში. ბილი საბოლოოდ სასაკლაოდან ცოცხალი გამოდის დრეზდენის დაბომბვის შემდეგ, მაგრამ შედეგები იმდენად საშინელია, რომ მას არ შეუძლია შეწყვიტოს მისი გახსენება და დროში მოგზაურობის დროს დაბრუნება. ამ თვალსაზრისით, სასაკლაო ხდება უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ ადგილი - ეს არის გონების მდგომარეობა. ეს არის როგორც ბილის ასევე ვონეგუტის და ბერნარდის PTSD. ტრავმირებული გონება თავს ვერ აღწევს სასაკლაოს.

აუცილებელია იმის გააზრება, რომ პირველი თავის კურტ ვონეგუტი რომანის ერთ-ერთი პერსონაჟია. ამასთანავე ის მთხრობელიცაა და პირველ პირში მოგვითხრობს

დრეზდენის დაბომბვას. როგორც ჩანს, ვონეგუტი ავტორია, ან სულ მცირე, იდენტური ბიოგრაფიის მქონე მთხრობელი. მართლაც, ავტობიოგრაფიული მონაცემებით ბილი პილგრიმი თავის შემქმნელ ვონეგუტს ენათესავება. პილგრიმიც და ვონეგუტიც 1922 წელს დაიბადნენ, ჰყავდათ მაღალი მონადირე მამები. ორივე გერმანელებმა ლუქსემბურგში დაატყვევეს, გადაიყვანეს დრეზდენში, სადაც სასაკლაო 5-ში დააბინავეს, მუშაობდნენ იმ ქარხანაში, რომელიც ფეხმძიმე ქალებისთვის განკუთვნილ სიროფს ამზადებდა. ორივე გადაურჩა დრეზდენის დაბომბვას, თხრიდნენ გვამების მაღაროებს, ორივე გაათავისუფლეს 1945-ში, დაუბრუნდნენ კოლეჯს და მალევე დაოჯახდნენ. ბილი ორმაგი პერსონა გამოდის, ის ერთის მხრივ, ნიღაბია პერსონაჟი ვონეგუტისთვის (რომელიც რაღაც დოზით ვონეგუტის ნიღაბია), ხოლო მეორეს მხრივ, ვონეგუტი ავტორისთვის [5.1976: 232].

როგორც არნოლდ ედელსტაინი აღნიშნავს, რომანში თხრობის ოთხი შრეა. 1. ვონეგუტის აწმყო დრო (I და IX თავები), 2. ბილის აწმყო დრო (მისი გამგზავრება ნიუ იორკში და იქ განვითარებული მოვლენები), 3. რომანის წარსული დრო (ომი, ბილის ქორწინებიდან მე-18 წლისთავი, თვითმფრინავის ჩამოვარდნა), 4. ბილის მოგზაურობა დროსა და სივრცეში [1, 1974: 129].

გასაკვირია, რომ ვონეგუტის ამ მხატვრულ ქმნილებას ისე აღიქვამენ, როგორც ჩვეულებრივ რომანს და არა როგორც რომანს რომანში. ვონეგუტი I თავში გვაცნობს მიზანს დაწეროს წიგნი დრეზდენის დაბომბვის შესახებ, ის გულახდილად გვიზიარებს მასალების შეგროვებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, და აღიარებს, რომ უკვე ოცდასამი წელია რომანის დაწერას ცდილობს, მაგრამ საჭირო სიტყვებს თავს ვერ უყრის [5, 1976: 230]. II თავიდან პერსონაჟი ვონეგუტი გაუჩინარდება, თუმცა მკითხველი ყოველთვის გრძნობს მის უტყვ არსებობას. V თავში ორჯერ ვონეგუტი თავის თავს პირველ პირში მოიხსენიებს, პირველად როდესაც ამბობს, რომ ბილის ეპიტაფია მისთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა, ხოლო მეორედ ბრიტანელი ჯარისკაცების სპექტაკლის ,,კონკია“ თავის ემოციებს აღწერს. მსგავსი შემთხვევებია VI-VII თავებში. VIII თავში ორჯერ ბილი პილგრიმის ისტორია ისეა მოხსენიებული როგორც წერის პროცესში ჯერ კიდევ დაუსრულებელი ამბავი. მსგავსი მიმართებები გვახსენებს რომ რომანის მთავარი პერსოჟი არსად გამქრალა, მიუხედავად იმისა, რომ ბილის ისტორიას ვისმენთ, ვონეგუტი ისევ აქაა მთხრობელის ამპლუაში [5, 1976: 231).

კრიტიკოსები სათანადოდ ვერ აფასებენ რომანის I თავის დიდ მნიშვნელობას. ზოგიერთისთვის ის თავსატეხივითაა. კრიტიკოსები ალბათ იმის გამო უგულვებელყოფენ I თავს, რომ მას ისე აღიქვამენ როგორც რომანის შესავალ ნაწილს. თუმცა I თავს არც შესავალი ჰქვია, არც წინათქმა, არც შესავალი სიტყვა. თუ ყურადღებით წავიკითხავთ, I თავის ფუნქცია რომანის ერთ მთლიანობაში მოქცევაა. ის ისეთ მინიშნებებს შეიცავს, რომლებიც რომანის სწორი გაგებისთვისაა საჭირო: 1) რომანი უფრო მეტად დროის სუბიექტური აღქმისა და სიკვდილის შესახებაა. 2) რომანის მთავარი გმირი ბილი პილგრიმი კი არაა, არამედ კურტ ვონეგუტი; 3) ეს სულაც არაა ტრადიციული ომის საწინააღმდეგო რომანი, არამედ ის საკმაოდ რთული ექსპერიმენტული რომანია [5, 1976: 228].

I თავში ჩანს მწერლის გატაცება დროითა და მისი მსვლელობით. 1970 წელს ნიუ იორკ თაიმზთან ინტერვიუში კურტ ვონეგუტი დროის ბუნების გაგების თავისეულ ინტერ-პრეტაციას გვთავაზობს. სამყაროში არაფერს აქვს დასასრული, ეს ადამიანებსაც ეხება, ჩვენ მუდმივად ვმოგზაურობთ დროში. ისტორიის ციკლური განვითარების თეორია არ ახალია, მაგრამ დროში შემთხვევითი არასისტემური გადანაცვლება ვონეგუტს ეკუთვნის. ვონეგუ-ტმა აღიარა, რომ დროის მისეული აღქმა მრავალი დროის თეორეტიკოსის ზეგავლენის შედეგია და მათ შორის გამოყოფს გაი მარჩის, რომლის წიგნიც The music of spheres სწორედ იმ განმარტებას შეიცავს, რომელსაც ვონეგუტის რომანში ვხვდებით. გაი მარჩისაც სჯერო-და, რომ დრო უსასრულოა, არსებობს მხოლოდ ახლა, აწმყო [4, 1979: 64]. ვონეგუტმა რაც შექმნა, ფაქტიურად ანრი ბერგსონის მოსაზრების შესისხლხორცებაა. ამ სამყაროში ადამიანს სურვილისამებრ არა მარტო დროში შეუძლია გადანაცვლება, არამედ მოგონე-ბებშიც, სწორედ მოგონებებშია დრო განთავსებული (რუბენსი 1979: 64). ბერგსონის თანახ-მად, ადამიანის ქვეცნობიერი იმგვარადაა მოწყობილი, რომ მას შესწევს უნარი დროში და სივრცეში მკვეთრად დაშორებული მოვლენები ერთ სივრცეში დაინახოს და აღიქვას [4, 1979: 64].

ამ თეორიების გათვალისწინებით, ვონეგუტი ცოტა არ იყოს ბუნდოვან დამოკი-დებულებას ამჟღავნებს დროის მიმართ. მას არ ახსოვს ო'ჰეირთან სტუმრობის ზუსტი წელი, საძინებელში დაბრუნებული მთვრალი ვონეგუტი ვერ იხსენებს რა დროა და ვერ პასუხობს მეუღლეს, რომელსაც რატომღაც სულ სურს იცოდეს რომელი საათია. მისი გულმავიწყობაა ფარია იმ ინსტანციისგან თავდასაცავად, რომელიც მას ზღუდავს. ის ზოგჯერ დროში ეჭედება, თუმცა როგორც დედამიწელმა მან უნდა მისდიოს დროს, საათებსა და კალენდარს [5, 1976: 229].

პლანეტა ტრალფამადორი ბილი პილგრიმის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს. თუ გავითვალისწინებთ მის მძიმე ცხოვრებას, რომელიც დაუსრულებელი ტრავმებითაა სავსე, მაგალითად, მამის შემთხვევითი სიკვდილი ნადირობისას, მეუღლის მოულოდნელი დაღუპვა ავტოავარიისას მოწამვლის შედეგად, მისი ტრავმა თვითმფრინავის ჩამოვარ-დნისას, როდესაც მხოლოდ თვითონ გადარჩა, მძიმე ბავშვობა, პრობლემური შვილები, ნერვული აშლილობა და დრეზდენის დაბომბვა - მსუყე მიზეზია ფანტაზიებში გადასა-შვებად [5, 1976: 234). მას რეალობასთან სუსტი კავშირი აქვს და შემთხვევით მომენტებში დამთრგუნველ მოგონებებს განიცდის. იმის გათვალისწინებით, რაც ბილიმ გადაიტანა, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ის გაგიჟდა. უცხოპლანეტელებთან შეხვედრები შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ჰალუცინაციები, რომლებსაც ყოველდღიური მოვლენები იწვევს. თუმცა ამ სტატიაში ჩვენ გვაინტერესებს, ტრალფამადორელებისეული დროის აღქმა. ამ უცხოპლანეტელებს მეოთხე განზომილების არსებობის სჯერათ, რომელიც, მათი თქმით, დროის ყველა მომენტს შეიცავს, ხოლო ეს მომენტები უსასრულოდ და თან ერთდროულად მეორდება. იმის გამო, რომ დროის ყველა მომენტი უკვე მოხდა (რადგან ყველა მომენტი უსასრულოდ მეორდება), ტრალფამადორელებს აქვთ შემგუებლური დამოკიდებულება თავიანთი ბედის მიმართ, თვლიან რა, რომ უძლურნი არიან შეცვალონ ის. მხოლოდ

დედამიწაზეა, ტრალფამადორიელების თქმით, საუბარი თავისუფალ ნებაზე, რადგან ადამიანები, მათი მტკიცებით, შეცდომით აღიქვამენ დროს, როგორც წრფივ პროგრესიას. ტრალფამადორელები ბილის ასწავლიან, რომ დრო არ არის წრფივი, არამედ ერთდროულია. ყველაფერი რაც მომხდარა და რაც უნდა მოხდეს მუდმივ აწმყოშია განთავსებული. წარსულის, აწმყოსა და მომავლის მომენტები ყოველთვის არსებობდა და იარსებებს. ბილის სიკვდილი უკვე სადღაც მომხდარა და მას არ შეუძლია თავისი სიკვდილის გაკონტროლება. ბილი ნუგეშს იმ იდეაში პოულობს, რომ გვამი უბრალოდ არის ადამიანი ,,იმ კონკრეტულ მომენტში ცუდ მდგომარეობაში," მაგრამ იგივე ადამიანი არის ,,სრულიად კარგად" სხვა მომენტებში. ამიტომ, სიკვდილი არ არის ისეთი რამ, რაზეც ბევრი დროის დახარჯვა და ობსესიური ფიქრი ღირს [5,1976: 238].

ტრალფამადორელების დროის გაგება ძალიან ჰგავს კილგორ ტრაუტის, სამეცნიერო ფანტასტიკის წარუმატებელი მწერლისა და კურტ ვონეგუტის ალტერნატიული ეგოს, მოსაზრებებს. ტრაუტმა მრავალი სამეცნიერო ფანტასტიური რომანი დაწერა, მაგრამ ბილი პილგრიმისა და ელიოტ როუზუოტერის გარდა, არავის სმენია მისი რომელიმე წიგნის შესახებ. როუზუოტერი ამას ტრაუტის „საშინელ“ პროზას მიაწერს და ამტკიცებს, რომ მხოლოდ მისი იდეებია კარგი. ტრაუტის პიროვნება სასტიკი და მიზანთროპიულია, მაგრამ ეს იდეები სამყაროს შესახებ დამამშვიდებელია როგორც ბილისთვის, ასევე როუზუოტე-რისთვის. მთხრობელი ვონეგუტი, განმარტავს, რომ ომის ტრავმის შემდეგ, ორი ადამიანი ცდილობდა საკუთარი თავის ხელახლა გამოგონებას. სამეცნიერო ფანტასტიკა დიდი დახმარება იყო.

ტრაუტი ამტკიცებს, რომ ყველანაირი მითიური და ზებუნებრივი არსება, ფაქტობრივად არსებობს, მხოლოდ მეოთხე განზომილებაში, სადაც ადამიანები მათ ვერ ხედავენ. გარდა ამისა, ტრაუტის ერთ-ერთი რომანი მოგვითხრობს კაცისა და ქალის შესახებ, რომლებიც უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს და გასართობად ზოოპარკში გამოფინეს. მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე ბუნდოვანი რჩება, შესაძლებელია, რომ ბილი პილგრიმის წარმოდგენები ტრალფამადორელების შესახებ ქვეცნობიერად ტრაუტის ნამუშევრებით იყო შთაგონებული.

ერთიანი დროის კონცეპცია განსაზღვრავს არა მარტო წიგნის თემატიკას, არამედ მის სტრუქტურასაც. თავდაპირველად ვონეგუტს ,,სასაკლაო 5“ ჩაფიქრებული ჰქონდა, რო-გორც ტრადიციული რომანი. მას გონებაში უკვე მრავალჯერ ჰქონდა გადამუშავებული ნაწარმოები, რომელსაც ექნებოდა შესავალიც, ძირითადი ნაწილიცა და დასკვნაც, გულდაგულ აღწერილი პერსონაჟები ბრწყინვალე დიალოგებით. ედგარ დერბის დახვრეტა უნდა ყოფილიყო რომანის კლიმაქსი. თუმცა სანამ კლიმაქსამდე ან კულმინაციამდე მიხ-ვალ, ჯერ აუცილებელია რიგი ქმედებების აღწერა, რომლებსაც მოქმედების შეკვრამდე მივყავართ. ვონეგუტი იმგვარად აგებს რომანის სტრუქტურას, რომ თავიდანვე ვიგებთ რა შეემთხვევათ პერსონაჟებს. სტრუქტურის ამგვარი წყობა რომანის დროის კონცეფციას ეხმიანება. II თავის რამდენიმე გვერდზე ვონეგუტი ასახავს ბილის ცხოვრების ყველა მთავარ მოვლენას: მის ომში მსახურებას, ტყვედ ყოფნის დროს და შემდგომ მკურნალობას

ვეტერანთა საავადმყოფოში, ავიაკატასტროფაში, მისი მეუღლის გარდაცვალებასა და ტრალფამადორში გატარებულ დღეებს. წინასწარმეტყველების ეს ნაკლებობა მიკრო დონეზეც ხდება. როდესაც ედგარ დერბი IV თავშია წარმოდგენილი, მკითხველი მაშინვე გაიგებს, რომ ის დახვრიტეს. ჩვენ ახლახან შევხვდით დერბის და უკვე ვიცით, როგორ მოკვდება. ვონეგუტის დაჟინებული მოთხოვნილებაა თავიდან აიცილოს წინასწარმეტყველება. ვონეგუტის აშკარა მიზანია, დაწეროს წიგნი ტრალფამადორული რომანის მიხედვით. მაშასადამე, ამ რომანში არ შეიძლება იყოს წინასწარმეტყველება, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შედეგი დაუყოვნებლივაა ახსნილი. შედეგად, წიგნის მეშვეობით მკითხველის ცხოვრებისეული გამოცდილება ბილის გამოცდილების იდენტურია; მკითხველმა, ისევე როგორც ბილიმ, იცის რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მის და მის გარშემო მყოფთა ცხოვრებაში. ვინაიდან ვონეგუტის რომანი დროის ერთიანი აღქმის შესახებ იყო, მწერალმა ამის გამო უკუაგდო რომანის ტრადიციული სტრუქტურა. მისი რომანის სტრუქტურა არის არა წრფივი, არამედ სივრცული [5, 1976: 239].

მწერალი რომანში დროის წრფიულ ხასიათს სხვა კუთხითაც უგულვებელყოფს. მაგალითად, ის რომანის ქრონოლოგიის მანიპულირებას ახდენს. რომანი სავსეა დროის ზუსტი განმსაზღვრელი თარიღებით, თუმცა მათი დასახელებისას ვონეგუტი განზრახ თუ უნებლიედ ხშირად ცდება. ზოგჯერ ლოგიკას არ ექვემდებარება მოვლენათა თანმიმდევრობა. მაგალითად, როგორც ავტორი აღნიშნავს ბილი ვალენსიაზე კლინიკიდან გამოსვლიდან 6 თვეში დაქორწინდა, რაც 1948 წლის გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო. კლინიკიდან გამოვიდა, ხოლო მათი თაფლობის თვე 1948 წლის შემოდგომაზე იყო. სწორედ ამ თაფლობის თვეში ჩაისახა რობერტ პილგრიმი, რომელიც 1949 წლის ზაფხულში უნდა დაბადებულიყო. მაგრამ VIII თავში მას შემდეგ რაც ბილი კილგორ ტრაუტს გადაეყრება, მას ქორწინების მე-18 წლისთავზე დაპატიჟებს. ეს ხდება 1964 წელს, შესაბამისად 2 წელზე მეტია გასული. ჩვენ ვიგებთ, რომ რობერტი 1968 წელს 18 წლისაა, არადა ის 15 წელზე მეტის არ უნდა იყოს თუ 1949 წელს დაიბადა [5,1976:240]. ასევე მაგალითად, ბილი თვითმფრინავის ჩამოვარდნას გადაურჩება 1968 წლის დასაწყისში, გამოჯანმრთელდება ვერმონტის შტატში და ბრუნდება ილიუმში ავადმყოფობის შემდეგ დასასვენებლად 1968 წლის გაზაფხულზე. ბარბარა, მისი ქალიშვილი, ამ დროისთვის 21 წლისაა. მაგრამ, რადგან ბილი დაოჯახდა 1948 წელს, და იმავე წელს რობერტი ჩაისახა, თუ ბარბარა 1968 წელს 21 წლისაა, მაშინ ის ქორწილამდე ჩასახულა. რობერტი და ბარბარა ტყუპებიც რომ ყოფილიყვნენ, ისინი 1968 წელს 19 წელზე მეტის ვერ იქნებოდნენ [5, 1976: 240].

კიდევ ერთი უზუსტობა ბილის დაბადების თარიღს უკავშირდება. 1922 წელს დაბადებული 21 წლისაა, როდესაც 1944 წელს გერმანელები მძევლად აიყვანენ. შესაბამისად ბილი 1922 წლის ბოლოს შობის პერიოდში უნდა დაბადებულიყო. ასევე ვონეგუტი წერს, რომ 1968 წლის გაზაფხულზე ის 46 წლისაა, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბილი სულ მცირე 1922 წლის გაზაფხულამდე დაიბადებოდა. ჩვენ ასევე ვიცით, რომ ბილი პირველად ტრალფამადორელებმა მისი ქალიშვილის ქორწინების დღეს გაიტაცეს, ქორწილი 1967 წლის გვიან ზაფხულში ან ადრე შემოდგომაზე უნდა ყოფილიყო.

ვინაიდან ბილის კლუბის ყოველწლიური შეხვედრა აგვისტოში იმართება და ამ დროს ვიგებთ, რომ ბარბარა სადაცაა გათხოვდება. გატაცების ღამეს ბილი 44 წლისაა, რაც შესაძლებელია, თუ ის გვიან დეკემბერში დაიბადებოდა. მას შემდეგ, რაც ბილი ტრალფამადორზე 6 თვეს დაჰყოფს, რაც 1968 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, ვიგებთ, რომ ის ისევ 44 წლისაა, რაც ყოვლად შეუძლებელია თუ ბილი 1922 წელს დაიბადა. მსგავსი შეუსაბამობაა, როდესაც ტყვედაყვანილი ბილი მატარებლით ლუქსემბურგიდან გერმანიაში გადაჰყავთ. ეს 1944 წლის შობას უნდა მომხდარიყო, ხოლო მგზავრობას დაახლოებით 10 დღე დასჭირდა, გერმანიაში 1945 წლის იანვრის დასაწყისში იქნებოდა. შესაბამისად, გერმანულ საკონცეტრაციო ბანაკში მიმდინარე მოვლენები 1945 წელს ხდება. თუმცა V თავში ბილი როდესაც დროში მოგზაურობს თავისი თაფლობის თვის დროს, ის 1944 წლის გერმანიის ჰოსპიტალში ბრუნდება [5, 1976: 240-241].

შეუძლებელია მსგავსი უზუსტობები თან ასეთი ჭარბი რაოდენობით ვონეგუტის დაუკვირვებლობის ბრალი იყოს. პირიქით, მწერალი იმდენჯერ უშვებს შეცდომას, რომ მისი მიზანი სწორედაც მკითხველის მიერ ამ უზუსტობების დანახვაა. მწერალი ქრონოლოგიურ სიზუსტეს რომ იცავდეს, ეს სრულიად შეუსაბამო იქნებოდა რომანის თემატიკასთან. ქრონოლოგიურობის უარყოფით მწერალი ასევე გულისხმობს, რომ არ არსებობს წარსული და მომავალი. წარსული და მომავალი აწმყოა [5, 1976: 241]. მეორეს მხრივ, ამ შეცდომებს უშვებს არა მწერალი ვონეგუტი, არამედ პერსონაჟი ვონეგუტი, რომელიც ამასთანავე მთხრობელიცაა, რაც მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. ის დროში დაიკარგა გადატანილი ტრავმების გამო [5,1976: 243]

ამრიგად, კურტ ვონეგუტის ფუნდამენტური ნაწარმოები ,,სასაკლაო 5" დროის აღქმის რადიკალურ გადააზრებას წარმოგვიდგენს. არალინეარული თხრობითი სტრუქტურა და ტრალფამადორიული ერთიანი დროის კონცეფცია ის ლიტერატურული ხერხებია, რომლებსაც ვონეგუტი ტრავმისა და ომის ადამიანური გამოცდილების შესასწავლად იყენებს. რომანის ფრაგმენტული ქრონოლოგია ასახავს PTSD-ის ფსიქოლოგიურ გავლენას და ამავდროულად ეჭვქვეშ აყენებს თავისუფალი ნების და დროითი პროგრესიის დასავლურ ტრადიციულ გაგებას. ტრალფამადორული პერსპექტივა, რომელიც ყველა მომენტს ერთდროულად არსებულად მიიჩნევს, ფუნქციონირებს როგორც ომის საშინელებებისგან გაქცევის, ისე მათთან კონფრონტაციის საშუალებად, რაც მიანიშნებს, რომ დროითი გადაადგილება შეიძლება იყოს როგორც გამკლავების მექანიზმი, ასევე მორალური პასუხისმგებლობისგან თავის არიდების ფორმა. ეს ანალიზი აჩვენებს, ვონეგუტის დროის მიმართ მიდგომა თუ როგორ სცდება უბრალო ნარატიულ ექსპერიმენტს და იქცევა ღრმა ნააზრევად ადამიანურ ცნობიერებასა და ჩვენს უნარზე, პირადი ტრავმა ისტორიულ კატასტროფასთან დავაკავშიროთ.

ლიტერატურა:

1.ედელსტაინი - Edelstein, Arnold (1974): Slaughterhouse-Five: Time out of Joint. *College Literature*, vol. 1, no. 2, pp. 128–39. *JSTOR*, http://www.jstor.org/stable/25111023. Accessed 14 Feb. 2025.

2. ისااკსი - Isaacs, Neil D (1973): Unstuck in Time: Clockwork Orange and Slaughterhouse-Five. *Literature/Film Quarterly*, vol. 1, no. 2, pp. 122–31. *JSTOR*, http://www.jstor.org/stable/43795411. Accessed 5 Mar. 2025.

3. კოლმანი - Coleman, Martin (2008): The Meaninglessness of Coming Unstuck in Time. *Transactions of the Charles S. Peirce Society*, vol. 44, no. 4, pp. 681–98. *JSTOR*, http://www.jstor.org/stable/40321290. Accessed 5 Mar. 2025.

4. რუბენსი - Rubens, Philip M (1979): Nothing's Ever Final: Vonnegut's Concept of Time. *College Literature*, vol. 6, no. 1, pp. 64–72. *JSTOR*, http://www.jstor.org/stable/25111247. Accessed 12 Feb. 2025.

5. ჰარისი - Harris, C. B. (1976): TIME, UNCERTAINTY, AND KURT VONNEGUT, JR.: A READING OF "SLAUGHTERHOUSE-FIVE." *The Centennial Review*, *20*(3), 228–243. http://www.jstor.org/stable/23738361

Tamta Amiranashvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
tamta.amiranashvili@atsu.edu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2025.10.03

Concept of time in Kurt Vonnegut's *Slaughterhouse 5*

Abstract

Kurt Vonnegut's seminal work "Slaughterhouse-Five" (1969) presents a radical reimagining of temporal experience through its protagonist Billy Pilgrim, who becomes "unstuck in time." This study examines how Vonnegut's non-linear narrative structure and the Tralfamadorian concept of simultaneous time serve as both literary devices and philosophical frameworks for exploring trauma, determinism, and the human experience of warfare. The novel's fragmentary chronology mirrors the psychological impact of PTSD while simultaneously challenging conventional Western notions of free will and temporal progression. Through the juxtaposition of Billy's time-traveling experiences with the devastating reality of the Dresden bombing, Vonnegut creates a complex meditation on mortality and memory. The Tralfamadorian perspective, which views all moments as existing simultaneously, functions as both an escape from and a confrontation with the horrors of war, suggesting that temporal displacement may serve as either a coping mechanism or a form of moral abdication.

The Tralfamadorian perspective on time is equally complex. These aliens see all moments of time simultaneously, like "a stretch of the Rocky Mountains," rather than as a linear progression. This view suggests several philosophical implications: 1. The question of free will - if all moments exist simultaneously and permanently, are our choices meaningful? 2. The nature of death - to Tralfamadorians, no one ever dies, they just exist in different moments, which offers both comfort

and a kind of existential paralysis 3. The moral implications - does seeing all time at once absolve us of responsibility, or does it make us more responsible since we can see all consequences?

Vonnegut uses this alien perspective to comment on how humans deal with incomprehensible tragedy. By presenting the firebombing of Dresden alongside moments of peace and banality, he shows how the human mind tries to make sense of senseless violence by fragmenting and reorganizing time.

Vonnegut was present during the bombing of Dresden on February 13, 1945, surviving by taking shelter in an underground meat locker known as Slaughterhouse-Five. This experience haunted him for decades, and his struggle to write about it directly informs the novel's structure. Just as Billy Pilgrim jumps through time, Vonnegut himself took over two decades to find a way to write about Dresden, making multiple failed attempts before finally succeeding with this fractured, semi-autobiographical approach. The author's own trauma manifests in several key ways: The meta-narrative framing where Vonnegut appears as himself in Chapter 1, struggling to write the book, reflects his real difficulty in confronting these memories. When he tells his war buddy's wife that his book won't glorify war, it's both a character speaking and Vonnegut's direct statement of purpose.

The repetition of "So it goes" after every death mirrors Vonnegut's own necessary emotional detachment. As a survivor who had to help collect and burn bodies after the bombing, he developed this philosophical distance as a survival mechanism. The Tralfamadorians' view of death becomes a way to process what he witnessed - if all moments exist forever, then perhaps the horror of Dresden can be balanced against moments of peace and joy. Billy Pilgrim's optimistic insanity (or possible wisdom) represents another aspect of Vonnegut's coping mechanism. By creating a character who escapes into science fiction fantasies, Vonnegut acknowledges both the appeal and the potential danger of using imagination to cope with trauma. The alien abduction story can be read as either a mental breakdown or a transcendent understanding of time - Vonnegut leaves this deliberately ambiguous, just as survivors often struggle to make definitive sense of their experiences.

Most crucially, the book's non-linear structure reflects how trauma survivors actually experience memory. Vonnegut's famous quote that "All this happened, more or less" acknowledges both the truth of his experience and the impossibility of telling it in a straightforward way. The past isn't really past for trauma survivors - it keeps erupting into the present, just as it does for Billy Pilgrim.

The intersection of Vonnegut's anti-war message and his portrayal of traumatic time creates one of the novel's most powerful philosophical arguments. By fracturing time, he forces readers to confront war's lasting impact rather than treating it as a contained historical event.

Key words: time, PTSD, narrative structur